

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №275

2015 წლის 19 ივნისი

ქ.თბილისი

## საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

### მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის, პატიმრობის კოდექსის 125<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად:

ა) დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანდართული დებულება;

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის №8 დადგენილება.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

## საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულება

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც თავისი გამგებლობის სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. სამინისტრო თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს.

3. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.



5. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3.

## **მუხლი 2**

1. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.
2. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ხაზინაში და ხარჯთა ნუსხა.
3. სამინისტროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.
4. სამინისტროს მიერ სახელმწიფო დროშის გამოყენების წესი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.
5. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება სამინისტროს ბლანკებსა და სამინისტროს შესასვლელების აბრეზზე, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ბლანკებსა და შესასვლელების აბრეზზე.
6. სამინისტროს აქვს ემბლემა. სამინისტროს ემბლემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამინისტროს სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, მოსამსახურეთა სამსახურებრივ მოწმობებსა და სავიზიტო ბარათებზე, სამინისტროს ბეჭდვით გამოცემებზე, საკანცელარიო ნივთებზე, სუვენირებსა და სხვა საგნებზე.

## **თავი II**

### **სამინისტროს მმართველობის სფერო და კომპეტენცია**

**მუხლი 3.** სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება:

- ა) სასჯელის აღსრულების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანიზება და პენიტენციური დაწესებულებების ერთიანი მართვა, მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- გ) ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ზრუნვა;
- დ) არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
- ე) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

**მუხლი 4.** სამინისტროს უფლებამოსილებებია:

- ა) მსჯავრდებულთა მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასჯელის აღსრულება;
- ბ) პენიტენციური დაწესებულებებისა და ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა დაცვა;
- გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- დ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა დამუშავება და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება;
- ე) პენიტენციურ დაწესებულებებში კრიზისული ვითარების მართვა;
- ვ) პენიტენციურ დაწესებულებათა საექიმო-სამედიცინო პუნქტების/ სამედიცინო ნაწილებისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტების საქმიანობის ორგანიზება და კონტროლი, პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის უწყებრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების განხორციელება;
- ზ) პენიტენციური დაწესებულებებისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების სანიტარიულ-



ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შემოწმება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანაშაულის სრული მოცულობით გამოძიება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება;

კ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

ლ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სავალდებულო სპეციალური მომზადების კურსებისა და მოსამსახურეთა სერტიფიცირების უზრუნველყოფა;

მ) თავისი გამგებლობის სფეროში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

### თავი III

#### სამინისტროს ხელმძღვანელობა და პერსონალი

##### მუხლი 5

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრი:

ა) წარმართავს სამინისტროს საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) წარმოადგენს სამინისტროს და ანიჭებს სამინისტროს წარმომადგენლობას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებაზე სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მოვალეობათა შესრულებასა და სამინისტროს მოსამსახურეთა საქმიანობას;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს, მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოსამსახურეებს;

ზ) შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით, ადგენს საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს მოსამსახურეთათვის;

თ) საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ შემთხვევებში, კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სისტემის შესაბამის მოსამსახურეებს ანიჭებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებს წარადგენს



სახელმწიფო ჯილდოების მისანიჭებლად;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებებს, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულებისა და პენიტენციური დაწესებულებების დებულებებს;

მ) ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში საქმისწარმოების წესს;

ნ) უფლებამოსილია, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხის მოსამზადებლად შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები და საბჭოები, განსაზღვროს მათი ამოცანები, მათ მიერ დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესი;

ო) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის;

პ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

ჟ) პასუხს აგებს შესაბამისი სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

რ) კანონით დადგენილი წესით, უწევს სამსახურებრივ ზედამხედველობას (სახელმწიფო კონტროლს) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, სამინისტროს თანამდებობის პირებისა და მოხელეების აქტებსა და მოქმედებებს;

ს) წყვეტს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მოსამსახურეების, პენიტენციური დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხებს;

ტ) ძალადაკარგულად ცნობს სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირების სამართლებრივ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს;

უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აჩერებს სამინისტროს სისტემის თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული აქტის აღსრულებას ან მოქმედების შესრულებას, გასცემს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს აქტის შეცვლის, მოქმედებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან ახალი მოქმედების შესრულების შესახებ;

ფ) მონაწილეობს საქართველოს მთავრობის სხდომებში;

ქ) ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს;

ღ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მინისტრს უფლებამოსილება უწყდება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით.

## მუხლი 6

1. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ორი მოადგილე, რომელთა უფლებამოსილებები და საკურატორო სფეროები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონითა და მთავრობის სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდებათ მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მინისტრის დანიშვნისთანავე.

4. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების



საქმიანობას, რომლებიც მინისტრის ბრძანებით მის დაქვემდებარებაშია გადაცემული. მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას.

5. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

6. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე შესაძლებელია, იმავდროულად იყოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

## მუხლი 7

1. სამინისტროს თანამდებობის პირები არიან:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება მინისტრს ან კურატორ მინისტრის მოადგილეს.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობას, წყვეტს სტრუქტურული ქვედანაყოფის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს და პასუხისმგებელია სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) აკონტროლებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

დ) ხელს აწერს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს ან ახორციელებს მათ ვიზირებას;

ე) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობების შესრულებისას;

ვ) მინისტრს და კურატორ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების წახალისების შესახებ;

ზ) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარუდგენს წინადადებებს მის დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

ი) შუამდგომლობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და მინისტრის მიერ დამტკიცებული სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## თავი IV



**მუხლი 8.** სამინისტრო, პენიტენციური დაწესებულებები და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები ქმნიან სამინისტროს სისტემას.

## მუხლი 9

1. სამინისტრო შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან.
2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
  - ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
  - ბ) იურიდიული დეპარტამენტი;
  - გ) ეკონომიკური დეპარტამენტი;
  - დ) სამედიცინო დეპარტამენტი;
  - ე) ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
  - ვ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი;
  - ზ) პენიტენციური დეპარტამენტი;
  - თ) ანალიტიკური დეპარტამენტი;
  - ი) საგამომიებო დეპარტამენტი;
  - ი<sup>1</sup>) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
  - კ) გენერალური ინსპექცია;
  - ლ) შიდა აუდიტის სამსახური;
  - მ) პროტოკოლის სამსახური;
  - ნ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.

## მუხლი 10

1. სამინისტროს სტრუქტურა, გარდა გენერალური ინსპექციისა და საგამომიებო დეპარტამენტისა, იყოფა სამოქალაქო სამსახურად და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად.
2. სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი და პენიტენციური დეპარტამენტი, პენიტენციურ დაწესებულებებთან ერთად ქმნიან სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, გასამხედროებული ქვედანაყოფების სისტემას, რომლის საქმიანობაც წესრიგდება „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.
3. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, ეკონომიკური დეპარტამენტი, სამედიცინო დეპარტამენტი, ლოჯისტიკის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, აგრეთვე შიდა აუდიტის სამსახური, პროტოკოლის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ქმნიან სამინისტროს სამოქალაქო სამსახურს.
4. სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი და გენერალური ინსპექცია არ შედიან სპეციალურ პენიტენციურ



სამსახურში და სამოქალაქო სამსახურში. ეს სტრუქტურული ქვედანაყოფები შესაბამისად უზრუნველყოფენ სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვასა და სამართალდაცვითი ამოცანების შესრულებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.

## მუხლი 11

1. პენიტენციური დაწესებულება არის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის უშუალო აღსრულების მიზნით მინისტრის სამართლებრივი აქტით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში.
2. პენიტენციური დაწესებულების სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება პენიტენციური დაწესებულების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

## მუხლი 12

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:
  - ა) არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
  - ბ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი.
2. სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ არასაპატიმრო სასჯელთა, პრობაციის სახის სამართლებრივი აქტებისა და განრიგების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს აღსრულებას.
3. სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში დასაქმების სურვილის მქონე პირთა ან დასაქმებული მოსამსახურეების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამინისტროს სისტემაში რეფორმების ხელშეწყობას.
4. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება მათი დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს მინისტრი.

## თავი V

### სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები

## მუხლი 13

1. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია და სტრუქტურა განისაზღვრება ამ დებულებით, ასევე შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.
2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სტრუქტურულ ერთეულებად, რომელთა სახელწოდება და კომპეტენცია განისაზღვრება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების გათვალისწინებით, თავად სტრუქტურული ერთეულის დებულებით.

## მუხლი 14. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ამოცანებია:

- ა) სამინისტროს საქმისწარმოების უზრუნველყოფა;
- ბ) სამინისტროს საარქივო საქმიანობის უზრუნველყოფა;
- გ) სამინისტროსა და სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივი მისაღების საქმიანობის უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.



**მუხლი 15.** იურიდიული დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სამინისტროს სისტემის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დარჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხების განმხილველი სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების (შემდგომში – სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების) საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა.

**მუხლი 16.** ეკონომიკური დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური და საბუღალტრო საქმიანობის უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს სისტემის ბიუჯეტის დაგეგმვა და სამინისტროს ბიუჯეტის მართვა.

**მუხლი 17.** სამედიცინო დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტების შესაბამისად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ) პენიტენციურ და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის უწყებრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების განხორციელება და კონტროლი;

გ) პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე ზრუნვა.

**მუხლი 18.** ლოჯისტიკის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სამინისტროს ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განსაზღვრა და მათი უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებების განსაზღვრა და მათი უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროსათვის სატრანსპორტო საშუალებების საჭიროებების განსაზღვრა და მათი უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აღრიცხვა, გამართულ საექსპლუატაციო მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა, გამოყენების კონტროლი და კომპეტენციის ფარგლებში განკარგვა;

ე) სამინისტროს ლოჯისტიკური განვითარების გეგმების შემუშავება.

**მუხლი 19.** საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;

ბ) სამინისტროს სისტემის ურთიერთობის უზრუნველყოფა სხვა ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

გ) ევროინტეგრაციის პროცესში სამინისტროს საქმიანობის წარმართვა.

**მუხლი 20.** პენიტენციური დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) პენიტენციურ დაწესებულებათა ერთიანი მართვისა და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან დაკავშირებული პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული ცალკეული ფუნქციების უშუალო შესრულება;





გ) მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ზრუნვა.

**მუხლი 21.** ანალიტიკური დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სამინისტროს სისტემის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

ბ) სასჯელაღსრულების სფეროში მონაცემთა დამუშავებისა და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს სტრატეგიის შემუშავების უზრუნველყოფა;

დ) სამინისტროს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.*

**მუხლი 22.** საგამომიებო დეპარტამენტის ამოცანაა პენიტენციური დაწესებულებისა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულთა კომპეტენციის ფარგლებში გამოძიება და დანაშაულთა პრევენცია.

**მუხლი 22<sup>1</sup>.** საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

ბ) პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრების, სემინარებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ორგანიზება;

გ) სამინისტროს ვებგვერდის წარმოება-განახლების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან მოწოდებული ინფორმაციის (მასალის) შეკრება, დამუშავება და სამინისტროს ვებგვერდზე განთავსება.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.*

**მუხლი 23.** გენერალური ინსპექციის ამოცანებია:

ა) სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება;

ბ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება;

გ) სამინისტროს სისტემაში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა და მათზე რეაგირების უზრუნველყოფა.

**მუხლი 24.** შიდა აუდიტის სამსახურის ამოცანაა სამინისტროს წინაშე არსებული საფინანსო-ეკონომიკური რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება, სამინისტროს სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.

**მუხლი 25.** პროტოკოლის სამსახურის ამოცანაა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო-საპროტოკოლო უზრუნველყოფა.

**მუხლი 25<sup>1</sup>.** ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ამოცანებია:

ა) ადამიანური რესურსების მართვა და შესაბამისი გეგმის შემუშავება;

ბ) სამინისტროს მოსამსახურეთა საქმიანობის შეფასების თანამედროვე სისტემის დანერგვა და შეფასების პროცესის მონიტორინგი;

გ) სამინისტროს მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;



დ) სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების ორგანიზება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №434 - ვებგვერდი, 25.08.2015წ.

## თავი VI

### სათათბირო ორგანოები

#### მუხლი 26

1. მინისტრს, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და მომზადების მიზნით, შეუძლია შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით (შემდგომში – სათათბირო ორგანოები).
2. სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა, დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესი და სათათბირო ორგანოს საქმიანობის უზრუნველმყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფები.
3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.
4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს მინისტრს.
5. მოხელე ან პირი, რომელიც მოხელე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ თავისი თანხმობით.
6. თუ სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე არ არის მოხელე, რომელიც შედის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ან არ არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობისგან ან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისგან ნიშნავს ამ ორგანოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირს.
7. სათათბირო ორგანოს საქმიანობასა და სხდომაზე საოქმო წარმოებას უზრუნველყოფს მისი მომსახურე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.
8. სათათბირო ორგანოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე, თუ სათათბირო ორგანოს შექმნის დროს სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.
9. სათათბირო ორგანოს მუშაობისას დამატებითი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება შეიძლება ანაზღაურდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 27

1. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით, სამინისტროსთან იქმნება საკონსულტაციო საბჭო. საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
2. საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს სამოქალაქო სამსახურში შემავალი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

#### მუხლი 28

1. სამინისტროს საკოორდინაციო საბჭო იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შერჩევისა და საბჭოს წევრებად წარდგენის მიზნით. სამინისტროს



საკოორდინაციო საბჭოს უფლება-მოვალეობები და საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

2. სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს სამოქალაქო სამსახურში შემავალი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

